41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ლაგოდეხელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ლაგოდეხის მერობის კანდიდატისა და ლაგოდეხის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ლაგოდეხის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ლაგოდეხი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან, 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს ლაგოდეხის ბიუჯეტის ხარჯები სულ 6 მლნ 40 ათას ლარი იყო, 2021 წლის ხარჯები საპროგნოზოდ 9,7 მლნ ლარია. 2013 წელს მუნიციპალიტეტის მთლიანი ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლები 6,8 მლნ ლარს შეადგენდა, 2021 წლისთვის საპროგნოზოდ უკვე 16,8 მლნ ლარია; 2013 წელს ლაგოდეხის ბიუჯეტმა, გადასახადების ნაწილში, შემოსავლების სახით, 492 ათასი ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 12 მლნ ლარს შეადგენს.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან, 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 3 პროექტი** (ჯამურად 2 635 812 ლარი, თანამონაწილეობა 1 317 905 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 13 პროექტი (ჯამურად 1 459 616 ლარი, თანამონაწილეობა 555 652 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 496 ჰექტარზე განხორციელდა 67 პროექტი (ჯამურად 3 724 895 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 14 692 ჰექტარი, რითაც 2 774-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 5 031 544 ლარით აუნაზღაურდათ. **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, **1 408** უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა, განხორციელდა ჯამურად 102 589 779 ლარის პროექტები, თანამონაწილეობა 12 178 347 ლარი. **მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 17 პროექტი (ჯამურად 655 222 ლარი, თანადაფინანსება 261 906 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა,** რომლითაც შესყიდულია 853 520 ლარის ტექნიკა, თანამონაწილეობა 399 760 ლარი. 2020 წლიდან ხორციელდება: **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა** (3 პროექტი, ჯამურად 850 295 ლარი, თანადაფინანსება 555 100 ლარი), **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** (15 პროექტი, ჯამურად 793 966 ლარი, თანადაფინანსება 396 984 ლარი) და **სოფლის განვითარების პროგრამა** (2021 წ. 30 ივნისის მდგომ. 4 ბენეფიციარს გაუფორმდა 4 ხელშეკრულება, 926 978 ლარი, თანადაფინანსება 628 349 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, 1 023 091 ლარი დაიხარჯა. წყალუზრუნველყოფილი ფართობი, 0-დან (2013 წელს) 2 010 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა, ხოლო დაშრობილი მიწის ფართობი – 0-დან (2013 წელს) 600 ჰექტრამდე (2020 წელს). კახეთი ქართული მეღვინეობის უმთავრესი რეგიონია. შესაბამისად, სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უთმობს რთვლის ეფექტიანად წარმართვას – ლაგოდეხში, 2013-2020 წლებში, **გადამუშავებულია ჯამურად 60,88 ათასი ტონა ყურძენი** (მოსავლის ღირებულება 47,16 მლნ ლარი). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფო უსასყიდლოდ ახორციელებს სხვადასხვა **ვეტერინარულ ღონისძიებას**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად, მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **ხელისუფლების გეგმით, ქვეყნის მასშტაბით, 2030 წლისთვის წყლით უზრუნველყოფილი ტერიტორიების ფართობი 227 ათას ჰექტარს გაუთანაბრდება;**
- **2024 წლისთვის ლაგოდეხში დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 2715 ჰექტრამდე ზრდა.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს და გაგრძელდება რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

ლაგოდეხში, პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“, სასტუმროს კომპონენტში,** ხელი შეეწყო 5 სასტუმროს მშენებლობას (ჯამურად 3 279 408 ლარი, დასაქმდა 52 ადამიანი, მუნიციპალიტეტს 62 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 260 932 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 334 606 ლარის ინვესტიცია; ჯამურად დაფინანსდა 32 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 19, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 13 პროექტი).

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება. „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.

2013-2021 წლებში, კახეთის რეგიონში, ექსპლოატაციაში შევიდა 7 ჰიდროელექტროსადგური – ხადორიჰესი 2, შილდაჰესი, ალაზანიჰესი 2, ახმეტაჰესი, ფშაველაჰესი, შილდაჰესი 1, ავანი ჰესი 3,50. მათი დადგმული სიმძლავრე ჯამურად 32 მგვტ-ია, ჯამური ინვესტიცია 39 მლნ აშშ დოლარი. **კახეთის რეგიონში იგეგმება შემდეგი ენერგეტიკული პროექტები**: **სტორიჰესი-1** – 18,3 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 20 მგვტ; **სამყურისწყალიჰესი-1** – 6,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,8 მგვტ; **სამყურისწყალიჰესი-2** – 39,6 მლნ აშშ დოლარი, დადგმ, სიმძლავრე – 26 მგვტ; **ხადორიჰესი-3** -6,2 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,4 მგვტ; **ლოპოტა ჰესი 1** – 16 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 8 მგვტ; **ბაისუბანი ჰესი** – 5,1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,34 მგვტ; **ახალსოფელი ჰესი –** 5,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5 მგვტ; **სტორი 2 ჰესი –** 20,7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე – 11,4 მგვტ; **სტორი 3 ჰესი –** 7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4 მგვტ; **ფონა ჰესი –** 11,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 10,6 მგვტ; **დეკა ჰესი –** 1,79 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 1,2 მგვტ; **საჩალე ჰესი –** 1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 0,7 მგვტ. **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა მზის ელექტროსადგურების** პროექტები, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 80 მგვტ-ს აჭარბებს, გამომუშავება 110 მლნ კვტ/სთ-ს უტოლდება (დამატებით 50 მლნ აშშ დოლარამდე ინვესტიცია).

2013-2017 წლებში, ლაგოდეხში, 9 586 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა. 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 14 109 აბონენტი.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განსავითარებლად, 2014

წელს, ლაგოდეხში, ჩატარდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. 2013-2021 წლებში ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე გაიხსნა ვიზიტორთა განახლებული ცენტრი და სასტუმროს შენობა. ქ. ლაგოდეხში რეაბილიტირდა თავისუფლების ქუჩა, რომელიც ლაგოდეხის ნაკრძალის მიმდებარე დასასვენებელ პარკს ქალაქთან აკავშირებს და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული მარშრუტია. 2013-2014 წლებში, **განხორციელდა** ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობისა (120 000 ლარი) და ვიზიტორთა ცენტრის (სასტუმრო) სახურავის რეაბილიტაცია (24 000 ლარი), ხოლო 2015-2016 წლებში – მთლიანად შენობის რემონტი (220 000 ლარი). 2017 წელს განახლდა ტურისტული ინფრასტრუქტურა, რომელზეც დაიხარჯა 122 000 ლარი.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2020 წელს, მუნიციპალიტეტში, ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** მომზადდა ტყის მართვის 10 წლიანი გეგმა. 2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაცემულია 52 ათასი კუბ. მ **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** 2014-2021 წლებში, ყვარელი-ლაგოდეხის სატყეო უბნის ტერიტორიაზე ხე-ტყის ორგანიზებული დამზადების ფარგლებში, დამზადდა 11 811 კუბ. მ ხე-ტყე.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ასევე მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 12 წყალპუნქტზე;

სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები; **გაგრძელდება** სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ; გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს; ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 24 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ ხელისუფლებამ 4,6 მლნ ლარი გამოყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წ.წ. მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, ლაგოდეხის 13 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 043 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, ლაგოდეხის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 17 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. ხელისუფლების გეგმით, 2021-2023 წლებში, დამატებით 6 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

2021-2022 წლებისთვის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. ზემო მსხალგორი, წყალსადენი მაგისტრალის რეაბილიტაცია – 13 540 ლ;
- სოფ. პატარაგორი, II ქუჩის რეაბილიტაცია – 574 000 ლ;
- სოფ. ქვ. ფონი, უსახელო მდინარეზე საცალფეხო ხიდის მოწყობა – 32 872 ლ;
- სოფ. არეშფერანი, მდ. აფენის ხევზე საცალფეხო ხიდის მოწყობა – 39 824 ლ;
- სოფ. ზემო ბოლქვი, ჭაბურღილის რეაბილიტაცია – 28 386 ლ;
- სოფ. ზემო გურგენიანი, წყალსადენი მაგისტრალის მოწყობა – 10 300 ლ;
- სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 81 098 ლ;
- სოფ. ფიჩხიბოგირი, ჭაბურღილისა და წყალსადენის მოწყობა – 195 000 ლ;
- სოფ. სვიდება, ჭაბურღილისა და წყალსადენის მოწყობა – 167 186 ლ;
- სოფ. ნინიგორი, სათავე ნაგებობის და წყალსადენის მოწყობა – 236 074 ლ;
- სოფ. კავშირი, შიდაგზების რეაბილიტაცია – 217 362 ლ;
- სოფ. ჭაბუკიანი-ონანაურის გზის რეაბილიტაცია – 194 820 ლ;
- სოფ. ვერხვისმინდორი, მდ. არეშზე საცალფეხო ხიდის მოწყობა – 40 191 ლ;
- სოფ. ფოდაანი, მდ.არეშზე საცალფეხო ხიდის მოწყობა – 41 499 ლ;
- სოფ. შეერთება, ცენტრ. ტრასასთან დამაკავშირებელი გზა, მდ. ჭვარტლის ხევზე, რ/ბეტონის ხიდის მოწყობა – 47 843 ლ;
- ქ. ლაგოდეხში, რობაქიძის ქ. სანიაღვრე არხის მოწყობა – 19 516 ლ;
- სოფ. პატარა გორი, სანიაღვრე არხის მოწყობა – 36 284 ლ;
- სოფ. ვერხვისმინდორი, მდ. არეშზე ნაპირდამცავის მოწყობა – 127 862 ლ;
- სოფ. ქვემო ნაშოვარის გზა, არხზე ნაპირსამაგრის მოწყობა – 77 860 ლ;
- ქ. ლაგოდეხი, გ. გოგობერიშვილის ნაკვეთთან, ნაპირსამაგრი სამუშაოები – 11 285 ლ;
- სოფ. კაბალის ადმ. ერთეულში მილხიდების მოწყობა – 42 400 ლ;
- სოფ. ბებურიანი, ჭაბურღილის მოწყობა/დაერთება – 79 000 ლ;
- სოფ.თამარიანი, ვ. ჩაბატარევის ნაკვეთთან ჭაბურღილის მოწყობა – 76 900 ლ;
- სოფ. განჯალი (სკოლიდან)-უზუნთალის გზის რეაბილიტაცია – 230 000 ლ;
- სოფ. გვიმრიანი, სანიაღვრე არხის მოწყობა – 119 119 ლ;
- სოფ. ვარდისუბანი, მე-4 ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა – 144 441 ლ;
- სოფ. ქვემო გურგენიანი, გზის საფარის რეაბილიტაციია – 644 825 ლ;
- სოფ. ქვემო და ზემო გურგენიანის გზის გარეგანათების მოწყობა – 21 630 ლ;
- სოფ. განჯალა, მდ. კაბალის მარცხ.სანაპირო ნაპირსამაგრი მოწყობა – 314 538 ლ;
- სოფ. თელა, გარეგანათების მოწყობა – 21 055 ლ;
- სოფ. არეშფერანში, მდ. აფენისხევზე ნაპირსამაგრის მოწყობა – 199 614 ლ;
- სოფ. კავშირი, სანიაღვრე არხისა და ცხაურების მოწყობა – 26 227 ლ;
- სოფ. ქალქვა, სანიაღვრე არხზე რკინა/ბეტონის ხიდ-ბოგირების მოწყობა – 34 659 ლ;
- სოფ. ხიზა, სასმელი წყლის სათავე-ნაგებობისა და მაგისტრალის მოწყობა – 158 969 ლ;
- სოფ.ცოდნისკარი, სასმელი წყლის სათავე/ნაგებობისა და მაგისტრალის მოწყობა – 78 332 ლ;
- სოფ.გიორგეთიდან კაბალის მიმართ. გარეგანათების სამუშაოები – 68 000 ლ;
- სოფ. საქობოს მე-2 ქ. რეაბილიტაცია – 254 924 ლ;
- სოფ. პატარა გვიმრიანის გზის რეაბილიტაცია – 300 022 ლ;
- სოფ. მშვიდობიანი, მე-4-5 ქუჩის რეაბილიტაცია – 645 426 ლ;
- სოფ. წითელი გორა-ჭიაურის შიდაგზა,ა/ბეტონის საფარის მოწყობა – 566 831 ლ;
- სოფ. ონანაური-აბაშისწილის გზის რეაბილიტაცია – 231 797 ლ;
- სოფ. გვიმრიანი, სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა – 32 388 ლ;
- სოფ. ზემო ხეჩილი, სასმელი წყლის სათავე/ნაგებობისა და სან.ზონის რეაბილიტაცია – 14 399 ლ;
- სოფ. თელა, სასმელი წყლის სათავე/ნაგებობისა და მაგისტრალის მოწობა – 26 870 ლ;
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული ასფალტო-ბეტონის საფარის აღდგენითი სამუშაოები – 150 000 ლ;
- სოფ. ქვემო მსხალგორი, ჯ.ალფაიძის ნაკვეთთან, მდ. ბაისუბნის ხევის მარჯ. ნაპირზე გაბიონის მოწყობა – 83 474 ლ;
- სოფ. ზემო გურგენიანი, მდ. ნინოსხევის მარჯ. სანაპიროზე გაბიონის მოწყობა – 64 997 ლ;
- სოფ. გვიმრიანი, სანიაღვრე არხის მოწყობა – 31 998 ლ;
- სოფ. განჯალა, მდ. კაბალის მარცხ. სანაპირო, გაბიონის მოწყობა – 314 538 ლ;
- სოფ. არეშფერანი, მდ. აფენისხევის მარჯ. და მარცხ. სანაპიროზე ნაპირსამაგრის მოწყობა – 199 614 ლ;
- სოფ. საქობო, მე-2 ქუჩის რეაბილიტაცია – 254 924 ლ;
- სოფ. პატარა გვიმრიანის გზის რეაბილიტაცია – 300 022 ლ;
- სოფ. მშვიდობიანი, მე-4-5 ქ. რეაბილიტაცია – 645 426 ლ;
- სოფ. წითელი გორი-ჭიაურის შიდაგზა, ა/ბეტონის საფარის მოწყობა – 566 831 ლ;
- სოფ. ონანაური-აბაშისწილის გზის რეაბილიტაცია – 231 797 ლ;
- სოფ. ზემო და ქვემო ნაშოვარი, ჭაბურღილისა და მაგისტრალის მოწყობა – 1 050 000 ლ;
- ქ. ლაგოდეხი, კავკასიონის ქ. რეაბილიტაცია – 1 176 018 ლ;
- ქ. ლაგოდეხი, ახალგაზრდობის ქ. რეაბილიტაცია – 814 280 ლ;
- სოფ. აფენი, წყალსადენისა და საუბნო ონკანების მოწყობის სამუშაოები – პროექტის ღირებულება 13 973 ლ;
- სოფ. აფენის ადმ. ერთ. გარეგანათების მონტაჟი – 19 000 ლ;
- სოფლის ამბულატორიების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები – 8 476 ლ;
- სოფ. ბაისუბანი, რ/ბ სანიაღვრე არხის მოწყობა – 11 880 ლ;
- სოფ. ყარაჯალა, სასმელი წყლის მაგისტრალისა და ონკანების მოწყობა – 42 999 ლ;
- სოფ. ვერხვისმინდვრიდან აფენისკენ გარეგანათების მოწყობა – 13 502 ლ;
- ქ. ლაგოდეხიდან (ჯიმი მაისურაძის ქ.) სოფ. მაწიმამდე გარეგანათების მოწყობა – 43 179 ლ;
- სოფ. საქობოდან ბოლოკიანის გადასახ. გარეგანათების მოწყობა – 36 650 ლ;
- ბალთაში გზის რეაბილიტაცია – 420 000.00 ლ;
- სოფ. რაჭისუბანი, შიდასასოფლო გზების რეაბილიტაცია – 813 750 ლ;
- ლაფნიანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 517 855 ლ;
- თამარიანი, სკოლის უკანა ქუჩის რეაბილიტაცია – 504 000 ლ;
- გაგრძელდება კახეთის მიმართულებით **ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა,** მათ შორის, დასრულდება გურჯაანის შემოვლითი გზის 15-კმ-იანი, თბილისი-საგარეჯოს 35-კმ-იანი და ბაკურციხე-წნორის 16-კმ-იანი მაგისტრალების მშენებლობა.

ჯონდო მდივნიშვილი: „დღეს უფრო ძლიერი და გამოცდილი ვარ, ნამდვილად შემწევს ძალა და უნარი, ლაგოდეხის წინსვლას ხელი შევუწყო!“

„გულწრფელად ვამბობ, მერობა ჩემი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა! ჩემთვის ეს არის შესაძლებლობა, გამოცდილება გამოვიყენო და ვემსახურო მშობლიურ მხარეს, ჩემს ხალხს“, – ასე მიპასუხა, როცა ვკითხე, ლაგოდეხის მერობა მეორედ რატომ გადაწყვიტეთ-მეთქი. ამბობს, რომ გასულ 4 წელიწადში, გუნდთან ერთად, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, ბევრიც დაგეგმა და გამარჯვების შემდეგ, აუცილებლად მოიყვანს სისრულეში. ამბობს იმასაც, რომ ლაგოდეხელებთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა და მათგან დიდ მხარდაჭერას გრძნობს. ამ ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი გამარჯვებაში დარწმუნებულია.

დაიბადა 1972 წლის 1 მარტს.

დაამთავრა ულიანოვსკის ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით.

2008-2011 წლებში იყო „ლიბერთი ბანკის“ ლაგოდეხის ფილიალის მმართველი; 2011-2012 წლებში – „ლიბერთი ექსპრესი – მოძრავი ბანკის“ კოორდინატორი. 2012-2013 წლებში გახლდათ „ლიბერთი ექსპრესი – მოძრავი ბანკის“ მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, ხოლო 2013-2017 წლებში – „ლიბერთი ბანკის“ კახეთის რეგიონული ფილიალის უფროსი.

2017 წლის ნოემბრიდან არის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– ბატონო ჯონდო, წინა არჩევნებზე ამბობდით, ხალხის მხარდაჭერას ვგრძნობ და მინდა, ისეთი მერი ვიყო, რომ 4 წლის მერე ლაგოდეხელების ეს განწყობა არ შეიცვალოსო. მოახერხეთ და არჩევნებში ისევ მონაწილეობა ამიტომ გადაწყვიტეთ?

– დიახ, მოვახერხე და 4 წლის შემდეგ, ჩემი ლაგოდეხელების მხარდაჭერას კვლავ ვგრძნობ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებდი. მეტიც, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მე და მუნიციპალიტეტის მკვიდრებს განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს და ამით უზომოდ კმაყოფილი ვარ.

– თუ ასეთი მჭიდრო კავშირი გაქვთ მოსახლეობასთან, გაგვიმხილეთ, ამ 4 წლის განმავლობაში ლაგოდეხელები მერისგან უმეტესად რას ითხოვდნენ?

– დავიწყებ იმით, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით, როგორც ქალაქში, ასევე 67-ვე სოფელში, დეტალურად გვაქვს იდენტიფიცირებული ნებისმიერი სახის გამოწვევა. შეიძლება ადგილობრივზე უკეთაც კი ჩამოვთვალო ის საკითხები, რომლებიც ამა თუ იმ სოფელში გადასაჭრელია. ასე რომ, კარგად ვიცი, სად, რა საჭიროებაა და ამიტომ, ჩემი და მოსახლეობის მოსაზრებები, პრიორიტეტებთან დაკავშირებით, თითქმის ყოველთვის ემთხვევა. მოსახლეობა უმეტესად ითხოვდა საგზაო ინფრასტრუქტურის, სპორტული მოედნების, მწვანე სივრცეების, გარეგანათების, სანიაღვრე არხების მოწყობას. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფლის კრებების დროს, პრიორიტეტული საკითხები იკვეთებოდა და ჩვენც მაქსიმალურად ვეხმარებოდით მათ განხორციელებაში. მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით, უფრო მასშტაბურ პროექტებს ვახორციელებთ. ჩვენი ხელისუფლება, სწორედ ამითაა გამორჩეული, რომ ადამიანის, თითოეული მოქალაქის ინტერესებზეა ორიენტირებული.

– ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც დღემდე ხართ „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი?

– ამას ორი მიზეზი აქვს. პირველი – ერთგულება არის ჩემთვის ცხოვრებაში უმთავრესი პრინციპი და ღირსების ნაწილი; მეორე – „ქართულ ოცნებას“, მიუხედავად იმისა, რომ ოპონენტები ცდილობენ, სხვაგვარად წარმოაჩინონ, ქვეყანა განვითარების სწორი გზით მიჰყავს. ესაა ჩემი შინაგანი რწმენა და განცდა. არავინ ამბობს, რომ ჩვენ გუნდს შეცდომები არ დაუშვია მაგრამ, მთავარია, რომ ამ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტი არის ადამიანი, რომლის ღირსებასა და თავისუფლებას, ჩვენი პოლიტიკური გუნდი არასოდეს შეხებია უხეშად. სწორედ ამიტომ, მე დღემდე ვარ „ქართულ ოცნებაში“ და მომდევნო 4 წლის განმავლობაში ამ გუნდთან ერთად უფრო მეტი სასარგებლო საქმის გაკეთებას, მუნიციპალიტეტის მეტად განვითარებას, სოფლების გაძლიერებასა და არაერთი საინტერესო პროექტის განხორციელებას ვაპირებ.

– თუმცა, არჩევნებზე თქვენი „საკვიზიტო ბარათი“ ბოლო 4 წლის მუშაობაა. ამ პერიოდში რა შეიცვალა ლაგოდეხში სასიკეთოდ და განხორციელებული პროექტებიდან რომელია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?

– ლაგოდეხში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა და მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მოსახლეობისთვის თითოეული მათგანი თავისი შინაარსით მნიშვნელოვანია, თუმცა რადგან ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის განათლებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, ამ მიმართულებაზე შევაჩერებ თქვენ ყურადღებას. დაახლოებით 30 წელიწადია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არ აშენებულა არც ერთი ახალი საგანმანათლებლო დაწესებულება. მხოლოდ 2021 წელს 4 ახალი საბავშვო ბაღი შევა ექსპლოატაციაში – მოხდა ძველი, ამორტიზებული შენობების დემონტაჟი და აშენდა სრულიად ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობები. უახლოეს პერიოდში დაიწყება კიდევ 2 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფლებში ჭაბუკიანსა და ჭიაურში. კაბალსა და ჰერეთისკარში, მოსწავლეები ახალ სასწავლო წელს კეთილმოწყობილ, ევროპული სტანდარტების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სრულად ადაპტირებულ შენობებში შეხვდებიან. მხოლოდ ამ 2 პროექტის ღირებულება 7 მილიონი ლარია. სრულიად რეაბილიტირებულ სკოლაში მივლენ ნინიგორის საჯარო სკოლის მოსწავლეებიც. უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენი გუნდისთვის პრიორიტეტი არის ადამიანი და მისთვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნა. განსაკუთრებით ვზრუნავთ მომავალ თაობებზე და საგანმანათლებლო დაწესებულებების მოწესრიგებით, მაქსიმალურად კარგ პირობებს ვუქმნით, მიიღონ განათლება, განვითარდნენ. 4 წლის წინანდელი და დღევანდელი ლაგოდეხი ძალიან განსხვავდება. ჩვენ შევძელით ისეთი პრობლემების აღმოფხვრა, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში გროვდებოდა, ვგულისხმობ საგზაო ინფრასტრუქტურას, გარეგანათებას, გამწვანებას, რეკრეაციულ ზონებს, სპორტულ ინფრასტრუქტურას. ამ უკანასკნელს უდიდეს ყურადღებას ვაქცევ და მინდა, ჩვენს 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში თითო თანამედროვე, ხელოვნურსაფარიანი მინიმოედანი იყოს ღია ფიტნესტრენაჟორებით. ეს მნიშვნელოვანია, რათა ხელი შევუწყოთ ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას და ჯანმრთელი თაობა გვყავდეს. შეუძლებელია, არ ვახსენო პრემიერ-მინისტრის ინიციატივა, რომლითაც რეგიონების ურბანულ განვითარებას უდიდესი ყურადღება მიექცევა. გადაწყვეტილია, რომ 500 მილიონი ლარი დაიხარჯება საქართველოს მასშტაბით. ჩვენც გვაქვს პროექტი კომისიაზე წარდგენილი და უახლოეს პერიოდში მისი განხორციელება დაიწყება. მისასალმებელია, რომ ხელისუფლებისთვის რეგიონული ცენტრების განვითარება ასე მნიშვნელოვანია. ჩემი, როგორც მერის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო და მომავალშიც იქნება, ალტერნატიული ფინანსური წყაროების მოძიება, რომ მხოლოდ ადგი-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ლობრივი ბიუჯეტისა და ცენტრალური ხელისუფლებისგან გამოყოფილი თანხების იმედად არ ვიყოთ. სხვათა შორის, წელს ევროკავშირის მიერ გამოცხადებული რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამაში ლაგოდეხიდან ჩვენი 2 პროექტი გავიდა და ევროკავშირის დაფინანსებით, დაახლოებით 1 მილიონ 700 ათასი ლარი დაიხარჯება, ქალაქ ლაგოდეხის ცენტრში ჯიმი მაისურაძის სახელობის სკვერისა და ვაშლოვანის ქუჩაზე ჩვენი ისტორიული მუზეუმის სრულ რეაბილიტაციაზე, აღნიშნული სამუშაოების განხორციელებისათვის ტენდერები უკვე გამოცხადებულია.

– მუნიციპალიტეტისთვის ასევე მნიშვნელოვანია ლაგოდეხის ნაკრძალი, სადაც სხვადასხვა პროექტი იგეგმებოდა. ამ მიმართულებით რა სიახლეებია?

– ტურიზმის განვითარება, უნიკალური ტურისტული პოტენციალის ათვისება არის ჩვენთვის უმთავრესი ამოცანა. იგეგმება ნინოსხევის ჩანჩქერის ბილიკის სრული განახლება. მოეწყობა 6 კილომეტრი საფეხმავლო ბილიკი, საკემპინგე ადგილები. მიმდინარეობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება რომლის შემდეგაც, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყობა 60 კილომეტრზე მეტი ბილიკი, საერთაშორისო სტანდარტებით და შესაბამისი ინფრასტრუქტურით, აღნიშნულ სამუშაოებზე 5.340.000 ლარი დაიხარჯება. 2021 წელს განხორციელდება საინფორმაციო დარბაზის სრული რეაბილიტაცია. გურგენიანის ჩანჩქერის ბილიკის დასაწყისში დასრულდა ეკოსოფლის მოწყობა, 10 კოტეჯით და სარეკრეაციო სივრცით. პანდემიამ შეაფერხა, თორემ აქ უდიდესი მნიშვნელობის პროექტი – ხის კენწეროების ბილიკი უნდა მოწყობილიყო. მას ამიერკავკასიაში არ აქვს ანალოგი და დარწმუნებული ვარ, აუცილებლად განხორციელდება, რაც ახალი ჟანგბადი იქნება ლაგოდეხის ეკონომიკისთვის.

– პანდემიის დროს ვიზიტორების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა ლაგოდეხში?

– პანდემიის მიუხედავად ჩვენ კუთხეს ბევრი ვიზიტორი ყავს. მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაც აქტიურად მიმდინარეობს. პროგრესს განიცდის კერძო სექტორიც ამ მიმართულებით. ახლახანს ლაგოდეხში კიდევ ერთი ახალი სასტუმრო გაიხსნა. შენდება არა მხოლოდ საოჯახო, არამედ დიდი სასტუმროებიც, კაფეტერიებითა და საკონფერენციო დარბაზებით. ლაგოდეხში ტურიზმი უფრო და უფრო ვითარდება. თუმცა, ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტივა მხოლოდ ტურიზმი არ გახლავთ. მოსახლეობა აქტიურად სარგებლობს იმ სახელმწიფო პროგრამებით, რომლებსაც მათ ხელისუფლება სთავაზობს. მართლაც სასარგებლო პროგრამა გვაქვს: „დანერგე მომავალი“, „აწარმოე საქართველოში“, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსება, იაფი აგრო სესხის პროგრამა. ჩვენს მუნიციპალიტეტში ადგილობრივებმა აამოქმედეს მარცვლეულის შესანახი ფარდულები, სამაცივრე მეურნეობები, გააშენეს ვენახები, გადავიდნენ კენკროვანი კულტურების მოყვანაზეც, ვითარდება მესაქონლეობა და მეფუტკრეობაც. მინდა გლეხებმა და ფერმერებმა უფრო მეტად იაქტიურონ, შექმნან კოოპერატივები, განავითარონ საკუთარი ბიზნესი და გაძლიერდნენ ეკონომიკურად, რადგან თითოეული ოჯახის სიძლიერე, მუნიციპალიტეტის გაძლიერებას ნიშნავს. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, დაინტერესებულ პირებს , სახელმწიფო პროგრამების შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია მივაწოდოთ.

– ვენახი ახსენეთ. ლაგოდეხელების შეფასებით, სწორი იყო ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომლის თანახმად სახელმწიფო წლევანდელი რთვლის სუბსიდირებას მოახსენს?

– გლეხებმაც და დარგის სპეციალისტებმაც ეს გადაწყვეტილება დადებითად შეაფასეს. სუბსიდირება რომ არა, პანდემიის პირობებში, მევენახეებს ძალიან გაუჭირდებოდათ , გლეხი შემოსავლის გარეშე დარჩებოდა. ასე რომ, ეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ხელისუფლება მოქალაქის ინტერესებზეა ორიენტირებული.

– ბატონო ჯონდო, ისეთი ენთუზიაზმით საუბრობთ, ვხვდები, 4 წლის წინ სწორი ნაბიჯი გადადგით, როცა მერობა გადაწყვიტეთ. როგორც ჩანს, პოლიტიკა მოგწონთ, მიუხედავად იმისა, ამბობენ „ბინძურიაო“.

– „ბინძურია“, თუ ამგვარი მეთოდებით მოქმედებ. დიახ, 2017 წელს პოლიტიკაში რომ მოვედი, სრულიად გამოუცდელი ვიყავი. პროფესიით ფინანსისტი 2008 წლიდან „სახალხო ბანკში“ ლაგოდეხის ფილიალის მმართველად ვმუშაობდი. სხვათა შორის, იმ თანამდებობაზე სრულიად გამოუცდელი ამიყვანეს. მისვლის დღიდან ყველა საბანკო პროდუქტში ვცდილობდი გარკვევას, რასაც ბანკი მომხმარებელს სთავაზობდა და ამ მიზნით, ხშირად მომხმარებელსაც ვემსახურებოდი. მაშინ ლაგოდეხში ბევრი ბანკი არ იყო და ჩვენს ფილიალს ხალხი აწყდებოდა. ვფიქრობ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, იმ დროისთვის ინოვაციური პროექტი, ლაგოდეხში „ლიბერთი ექსპრესის“, მოძრავი-ბანკის დანერგვა იყო. პროექტის მიზანი იყო, ბანკი ხალხთან მისულიყო და უფრო ხელმისაწვდომი ყოფილიყო საბანკო მომსახურება, საკმაოდ კარგად გავართვით თავი და საქართველოს მასშტაბით ამ პროექტის ხელმძღვანელად დამაწინაურეს... პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ, მომეცა შანსი, ვემსახურო ჩემ საყვარელ მუნიციპალიტეტს. ამას სიამოვნებით ვაკეთებ და მთავარია, რომ ლაგოდეხელებისგან დიდ მხარდაჭერას და გვერდში დგომას ვგრძნობ. ჩვენ ერთად ძალიან ბევრ გამოწვევას ვუპასუხეთ ღირსეულად და მომავალშიც ასე იქნება. ამისთვის ძალას, ენერგიას არ დავზოგავ. დღეს მე უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე 2017 წელს ვიყავი, უფრო გამოცდილი ვარ, მეტი კომპეტენცია მაქვს, მეტი პირადი ურთიერთობა და კავშირი მაქვს მოქალაქეებთან. დღეს მზად ვარ კიდევ ერთხელ სათავეში ჩავუდგე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს. ჩემი მიზანია, რომ შემდეგი 4 წლის განმავლობაში პოზიტიური როლი შევასრულო თითოეული ჩემი თანამოქალაქის ცხოვრებაში და ამას აუცილებლად შევძლებ. დღეს ლაგოდეხი ნამდვილად არის ადგილი, სადაც იქმნება პირობები, რომ მაქსიმალურად კომფორტული იყოს ცხოვრება. 4 წლის მერე, ლაგოდეხი უფრო გამწვანებული, სუფთა, კეთილმოწყობილი და ლაღი, ბედნიერი ადამიანებით სავსე იქნება.

– ანუ, გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ?

– პირველივე ტურში დამაჯერებლად გავიმარჯვებ, რადგან ამ არჩევნებზე არ მივდივარ მარტო. მე მივდივარ ჩემს გუნდსა და იმ ადამიანებთან ერთად, ვისაც ვიცნობ, ვინც მიცნობს და ვისთვისაც მზად ვარ, შემდეგი 4 წლის განმავლობაში დავხარჯო ჩემი ენერგია, ცოდნა და კვალიფიკაცია. გულწრფელად ვამბობ, მერობა ჩემი თვითმიზანი არ არის! ეს არის შესაძლებლობა, ჩემი გამოცდილება გამოვიყენო და ვემსახურო მშობლიურ მხარეს, ჩემს ხალხს. ნამდვილად შემწევს ძალა და უნარი, გუნდთან ერთად, შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთო, რათა ხელი შევუწყო ლაგოდეხის წინსვლას და განვითარებას.

ლაგოდეხის მერის ოჯახი და უცვლელი დევიზი

ჯონდო მდივნიშვილი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენში, ზოოტექნიკოს ჯუმბერ მდივნიშვილისა და ბუღალტერ ჟუჟუნა გოგოლაძის ოჯახში დაიბადა. მშობლებს სოფელში ყველა იცნობს როგორც პატიოსან, მშრომელ ადამიანებს. ბავშვობიდან ექიმობაზე ოცნებობდა. როცა სკოლა დაამთავრა, ჩათვალა, რომ სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარებისთვის სათანადოდ ჯერ მზად არ იყო. უმაღლესში ჩაბარებას მეორე წელს გეგმავდა, მაგრამ მისი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა – რუსეთში მცხოვრებმა უფროსმა ძმამ დაარწმუნა, მასთან ჩასულიყო. ჩასვლიდან მალევე მცირე ბიზნესი წამოიწყეს და საკმაოდ წარმატებულიც. ამ სფერომ ბატონი ჯონდო ისე გაიტაცა, რომ საბოლოოდ, ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩააბარა.

რუსეთში ყოფნისას ორი აზრი მოსვენებას არ აძლევდა. პირველი – სურდა სამშობლოში დაბრუნებულიყო, მშობლებთან და მეორე – ნამდვილი ქართული ოჯახი შეექმნა.

ორივე შეასრულა. სამშობლოშიც დაბრუნდა და საკუთარი თანასოფლელი ნინო ჩალაძეც მოიყვანა ცოლად. ქალბატონი ნინო 19 წლის იყო, როცა მომავალმა მეუღლემ გაიცნო. გოგომ პირველივე შეხვედრისას დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. მათი სიყვარულით სავსე და ნამდვილი ქართული ოჯახი, უკვე 2 ათწლეულზე მეტს ითვლის.

დაოჯახების შემდეგ, გარკვეული პერიოდი მოუწიათ რუსეთში ცხოვრება. იქ გაჩნდნენ ბიჭებიც – ჯუმბერი და დავითი. როგორც კი უფროსი ვაჟი სასკოლო ასაკის გახდა, საქართველოში დაბრუნდნენ – არ უნდოდათ, შვილებს განათლება რუსეთში მიეღოთ.

მეუღლე დიასახლისია და როგორც კანდიდატი ამბობს, ყველაზე დიდ საქმეს აკეთებს – ოჯახს ბურჯი და იმედია , უვლის და ზრუნავს ბიჭებზე. ჯუმბერი უკვე სტუდენტია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომპიუტერული მეცნიერებების განხრით სწავლობს. დათო კი სექტემბრიდან აბიტურიენტი იქნება. პროფესიად ფსიქოლოგობა აირჩია.

ოჯახისთვის ნაკლები დრო რჩება. 4 წელია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საქმეებითაა დაკავებული. მუდმივი საცხოვრებელი არ მაქვს, ხან თბილისში ვარ ოჯახთან, ხან მშობლებთან, სოფელში, ხან მუნიციპალიტეტის ერთი სოფლიდან მეორეში გავრბივარ, „მოხეტიალე მერი“ ვარო, ხუმრობს. სხვანაირად ვერც იქნება, სადღაც გზაა მოსაპირკეთებელი, სადღაც გარეგანათებას ამონტაჟებენ, სადღაც მინიმოედანი კეთდება და უნდა დახედოს... განხორციელებული პროექტების ადგილებიდან „ლაივებსაც“ რთავს, ამით მინდა, ხალხს ვაჩვენო, სად, რა კეთდება, მინდა ნახონ და იმედიანად იყვნენ. ყველა ქუჩამდე, ყველა სოფლამდე მივალთო, ამბობს. დღესაც, მისი ფიქრები ლაგოდეხს დასტრიალებს – წინასაარჩევნო კამპანიაშია ჩართული და მერობისთვის უკვე მეორედ იბრძვის. ლაგოდეხელების მხარდაჭერის იმედი აქვს. მხარს უჭერს ოჯახიც – მშობლებიც, მეუღლეც და შვილებიც დარწმუნებულები არიან, რომ გაიმარჯვებს.

გაიმარჯვებს და მომდევნო 4 წელი, ისევ დაუღალავად იბრძოლებს ლაგოდეხის კეთილდღეობისთვის, ისევ თავდაუზოგავად ემსახურება ლაგოდეხელებს. ამჯერად – მეტი ენერგიით, გამოცდილებით, ცოდნით, ახალი გეგმებით და ძველი დევიზით: „არაფერი შემეშალოს ღმერთთან და შვილებთან. ისეთი ნაბიჯი არ გადავდგა, ხვალ-ზეგ ჩემს ბიჭებს წინ ცუდად დახვდეს!“

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტზე,** გამოიყო 52 674 822 ლარი, დაფინანსდა 99 123 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (2 696 024 ლარით 188 336 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (4 198 616 ლარით 59 346 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (გამოიყო 34 405 675 ლარით 22 875 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (7 756 447 ლარით 7 920 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (2 698 505 მილიონი ლარით 4 445 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 834 781 ლარით 3 660 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით, **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 55 382 ბენეფიციარი (392 031 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. 2019 წელს, **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში,** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 98,6% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ლაგოდეხში,** სტაციონარული მკურნალობით 213-მა (802 449 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1510-მა პაციენტმა (176 166 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 6 712 ორსული (375 268 ლარი). მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 1885.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C-ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 815 პირი (179 793 ლარი).**

2012 წლის შემდეგ, **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ლაგოდეხში,** 2013-2021 წლებში, სულ 534 შემთხვევა 1 238 101 ლარით დაფინანსდა.

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს 66 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ინფრასტრუქტურული პროექტები

2014-2020 წლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში: კაბალი (ბაისუბანი 30 377 ლ), აფენი (13 928 ლ), ფონი (8 688 ლ), ჭიაური (14 671 ლ). ნინიგორა (45 496 ლ); ახალი ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში: არეშფერანი (89 990 ლ), მაწიმი (93 500 ლ), თამარიანი (91 330 ლ). ქ. ლაგოდეხში, სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპური შენობის მშენებლობა (319 999,0 ლ).

2013 წელთან შედარებით, **5,8-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 421,5 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 73,0 ათასი ლ).

ლაგოდეხში, 2012 წლიდან დღემდე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამები და ქვეპროგრამები. მათ შორის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ეპიდზედამხედველობა, იმუნიზაცია, 2 დან 10 წლამდე ასაკის ბავშვთა ჰელმინთებზე კვლევის და მკურნალობის პროგრამა, არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია და სხვ.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში**, სახელმწიფო პენსიის მიმღებია 7777 პირი (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, თითქმის 2,3-ჯერ – 9 046 506-დან 20 875 847 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 130 147 470 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ლაგოდეხში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 109 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,6-ჯერ – 144 060-დან 525 029 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 3 594 791 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – **საარსებო შემწეობით.** პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2169 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2,5-ჯერ – 2 088 ათასიდან 5153 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 36 110 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე 6 777 ათასი, შშმ პირებზე – 3159 ათასი, ბავშვებზე – 14 641 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ლაგოდეხში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 2651 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 7-ჯერ – 654 005-დან 4 554 734 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 27 579 300 ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 154 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 45 584 ლარიდან 88 065

ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 640 946 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 42 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 13 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 29 ოჯახს დაუკანონდა. **საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.** ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **ლაგოდეხში,** დაფინანსებულია 294 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 2 908 200 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 519 600 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტზე** – 3 441 694 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში,** ჩართული იყო 1422 ოჯახი, 2021 წელს – 1573 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 476-მა ოჯახმა, 2021 წ. – 527 (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 611 პირი, 2021 წ. – 636 (ივნისის მდგომარეობით).

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, **2,4-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 705,9 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 290,8 ათასი ლარი).

ლაგოდეხში, 2012 წლიდან დღემდე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება სოციალური დახმარების 14 მუნიციპალური პროგრამა. მათ შორის ჰემოდიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, სამედიცინო კვლევების, სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა, სტუდენტების დახმარების პროგრამა, მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა, უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე (პირველი ჯგუფი) პირთა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე ასაკის) დახმარების პროგრამა და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. ლაგოდეხში ფუნქციონირებს 31 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (3 – ქ. ლაგოდეხში), სადაც დასაქმებული 74 აღმზრდელ-პედაგოგი და 77 აღმზრდელის თანაშემწე.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ლაგოდეხში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 5 მლნ 146 ათასი ლარით განისაზღვრა, მათ შორის, 2 მლნ 360 ათასი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 685 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია/გაზიფიცირების არაერთი პროექტი. მათ შორის:

2014 წელს – საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 7 პროექტი განხორციელდა, რასაც, საერთო ჯამში, 183,4 ათასი ლარი მოხმარდა. **2015 წელს** საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 16 პროექტი განხორციელდა, რაზეც, საერთო ჯამში, 696,5 ათასი ლარი დაიხარჯა. დასრულდა საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფ. აფენში (193 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი); **2016 წელს –** საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 9 პროექტზე, საერთო ჯამში, 145,1 ათასი ლარი გამოიყო. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 სოფლის საბავშვო ბაღს, განხორციელდა 5 საბავშვო ბაღში კვების ბლოკისა და სანიტარული კვანძების მოწყობა სტანდარტების შესაბამისად. განხორციელდა საბავშვო ლიტერატურის, სათამაშოების, მაცივრების, ჭურჭლისა და სამზარეულოს გამწოვების შესყიდვა 30 საბავშვო ბაღისთვის. აღიჭურვა და ექსპლოატაციაში შევიდა სოფელ აფენის სამჯგუფიანი საბავშვო ბაღი (გათვლილია 85 აღსაზრდელზე). 30 საბავშვო-ბაღში დაემატა ექთნები. **2017 წელს –** საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 9 პროექტი განხორციელდა, რასაც, საერთო ჯამში, 991,5 ათასი ლარი მოხმარდა. განხორციელდა 12 საბავშვო ბაღში კვების ბლოკისა და სანკვანძების მოწყობა სტანდარტების შესაბამისად. იაპონიის საელჩოს, არასამთავრობო ორგანიზაცია „საგას“ და მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთობლივი პროექტით, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ლაგოდეხის №1 საბავშვო ბაღს (გათვლილია 145 აღსაზრდელზე). **2018 წელს –** საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 5 პროექტი, ჯამში, 131,3 ათასი ლარით დაფინანსდა. 10 საბავშვო ბაღში სტანდარტების შესაბამისად მოეწყო კვების ბლოკები და სანკვანძები. **2019 წელს** საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 12 პროექტი განხორციელდა (ჯამში 1 მლნ 796,9 ათასი ლარი). 31 საბავშვო ბაღისთვის დამატებით შეისყიდულია მაცივრები,

ჭურჭელი, გაზქურები, სათამაშოები და სხვა ინვენტარი. **2020 წელს** მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 15 პროექტზე, ჯამში, 8 მლნ 74,1 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, **აშენდა –** 100 ბავშვზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღი სოფ. ჭაბუკიანში (3 მლნ 210,7 ათასი ლარი); 50 ბავშვზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღი სოფ. ბაისუბანში (762,2 ათასი ლარი); 50 ბავშვზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღი სოფ. კართუბანში (762,2 ათასი ლარი); 75 ბავშვზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღი სოფ. ჭიაურში (3 მლნ 210,7 ათასი ლარი); ახალი ბაღების მშენებლობები მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა. რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა ქ. ლაგოდეხში №3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (597 ათასი ლარი).

შექმნილი კოვიდპანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში მოწესრიგდა საბავშვო ბაგა-ბაღების სველი წერტილები, აშენდა საპირფარეშოები. რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით **მიმდინარეობს:** საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია სოფ. გიორგეთსა (799,9 ათასი ლარი) და ცოდნისკარში (500 ათასი ლარი). ახალი საბავშვო ბაღი შენდება სოფელ კაბალში (1 მლნ 323,9 ათასი ლარი).

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 1403-დან 1610-მდე გაიზარდა. 0.75-დან 3,12 ლარამდე გაიზარდა **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე. საბავშვო ბაღებს 33 ექთანი და 3 ფსიქოლოგი ემსახურება. **სასკოლო მზაობის** პროგრამა დანერგილია 10 საბავშვო ბაღის 10 ჯგუფში, სადაც 205 ბავშვი და 10 პედაგოგია.

ზოგადი განათლება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 28 საჯარო სკოლა (ქალაქში – 2), სადაც 6200 მოსწავლე, 673 მასწავლებელია (მათ შორის 43 – სპეციალური მასწავლებელი). მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 208 სსსმ მოსწავლე. 2020 წლისთვის 9 საჯარო სკოლას 17 **მანდატური** ემსახურება, ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 7 საჯარო სკოლაში. არაქართულენოვან საჯარო სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის 20 მასწავლებელი მუშაობს.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამები, მათ შორის: 2017 წელს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით, 5 სკოლას გადაეცა 50 კომპიუტერი. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** სკოლების აღჭურვის 36 პროექტი და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 6 პროექტი განხორციელდა. **2015-2019 წლებში,** საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 60 პროექტი განხორციელდა. **„ახალი სკოლის მოდელი“** 2021 წლისთვის დანერგილია 18 საჯარო სკოლაში. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით 20 საჯარო სკოლის (42 მიმართულება) 1104 მოსწავლე სარგებლობს (2019-2020 ს/წ). 2017-2020 წლებში, სკოლებს, ჯამში, 1164 **სასკოლო ჟურნალი და** 145 427 **სახელმძღვანელო უსასყიდლოდ** გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** პირველკლასელებს საჩუქრად 3774 კომპიუტერი გადაეცათ, 203 – კლასის დამრიგებლებს, ლეპ-ტოპებით დასაჩუქრდა 234 წარჩინებული მოსწავლე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 49 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 21 სკოლა, ცენტრალური გათბობის სიტემით 6 საჯარო სკოლაა აღჭურვილი. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში 4 საჯარო სკოლაა ჩართული.

MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, 2017-2018 წლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების რეაბილიტაციის შემდეგი პროექტები განხორციელდა: ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლა – 681,4 ათასი აშშ დოლარი; სოფელ განჯალის საჯარო სკოლა – 540,1 ათასი აშშ დოლარი; აფენის №1 საჯარო სკოლა – 407,1 ათასი აშშ დოლარი; ვარდისუბნის საჯარო სკოლა – 360 ათასი აშშ დოლარი.

2019 წელს განხორციელდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის 12 პროექტი, რაზეც, საერთო ჯამში, 1 მლნ 530,1 ათასი ლარი დაიხარჯა.

2019 წელს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 8 პროექტი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჯამში, 695,7 ათასი ლარით დაფინანსდა. სხვადასხვა სახის სამუშაოები განხორციელდა: აფენის №2, ბაისუბნის, გიორგეთის, თამარიანის, კართუბნის, ლაგოდეხის №3, შრომის საჯარო სკოლებში. **2019 წელს** დაიწყო და **მიმდინარეობს** ახალი სკოლის მშენებლობა სოფელ ჰერეთისკარში, ღირებულება 2 მლნ 400 ათასი ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს: ნინიგორის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2 მლნ 195,9 ათასი ლარი); სოფელ კარბალში საჯარო სკოლის მშენებლობა (4 მლნ 152 ათასი ლარი). ლაგოდეხის №3 საჯარო სკოლის შენობის ენერგოეფექტურობის გაძლიერება (ყვარლის იუსტიციის სახლთან ერთად, ჯამურად – 1 მლნ 980, 5 ათასი ლარი).

2020 წელს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაციის 16 პროექტი განხორციელდა, ჯამურად 1 მლნ 290 ათასი ლარი (სკოლების სახელმწიფო პროგრამა).

პროფესიული განათლება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 2017 წლიდან ფუნქციონირებს სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის“ ფილიალი.

2013-2020 წლებში, სახელმწიფოს მიერ კოლეჯის მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ 12 მლნ 616,8 ათასი ლარი შეადგინა. კოლეჯში 27 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაა დანერგილი, მათგან 5 – დუალური. კოლეჯი ასევე ახორციელებს 16 მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამას.

2020 წლიდან კოლეჯმა მოიპოვა უფლება, განახორციელოს ისეთი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი. 2020 წელს ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამებზე 12 სტუდენტი ჩაირიცხა.

2016 წელს კოლეჯის „აისის“ რეაბილიტაციაზე 752 ათასი ლარი დაიხარჯა, 2016-2017 წლებში კი – 589 ათასი ლარი. 2016 წელს კოლეჯში ინოვაციური ლაბორატორია გაიხსნა. 2019 წელს, ინტეგრირებული მოდულების დანერგვის მიზნით, 31,6 ათასი ლარის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა შეიძინეს. 2021 წელს „აისის“ ლაგოდეხის ფილიალში მოეწყო ახალი სასწავლო სახელოსნოები. 2017-2019 წლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების დანერგვის მიზნით 10 პროექტი განხორციელდა.

ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა ზრდასრულთა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა. 2021 წლის მდგომარეობით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ერთი პროგრამაა ხელმისაწვდომი, რომელსაც ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი ახორციელებს.

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის; მუნიციპალური განვითარების ფონდი დააფინანსებს ბაღების მშენებლობას სოფელ ბაღდათსა (750 ათასი ლარი) და სოფელ გვიმრიანში (750 ათასი ლარი); საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- მიმდინარეობს სოფელ კავშირის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია და მოხდება მისი აღჭურვა რბილი და მაგარი ინვენტარით. მოხდება ლაგოდეხის №3 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია/აღჭურვა. დაგეგმილია სოფელ თელის საბავშვო ბაღებისთვის ახალი შენობის აშენება;
- დაიწყება აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების შესაბამისად;
- დაგეგმილია სოფელ ჩადუნიანისა და საქობოს საბავშვო ბაღების შენობის სრული რეაბილიტაცია;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, განხორციელდება ლაგოდეხში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით განხორციელდება: სოფელ მსხალგორის საჯარო სკოლის იატაკის შეცვლა, ელექტროგაყვანილობის გამოცვლა და ცენტრალური გათბობის მოწყობა (109,8 ათასი ლარი); სოფელ კაბალის №1 საჯარო სკოლის საკლასო ოთახების და კარების რეაბილიტაცია (31,8 ათასი ლარი);
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

2018 წლიდან, ფუნქციონირებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგზარდობის საქმეთა განვითარების ცენტრი, რომლის დაქვემდებარებაშია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმი, ბიბლიოთეკა, სახალხო დრამატული თეატრი, საბავშვო თეატრი, თოჯინების თეატრი.

გაიზარდა მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს დაფინანსება და 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 957,7 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტი გადანაწილებულია სამ ქვეპროგრამის ფუნქციონირებაზე: კულტურის სფეროს განვითარება, სპორტის სფეროს განვითარება, ახალგაზრდობის მხარდაჭერა.

2014-2020 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. იმართებოდა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისადმი მიძღვნილი საღამოები, ბიბლიოთეკის, დედა ენის და სხვა მნიშვნელოვანი დღეების აღსანიშნავი ღონისძიებები, ეწყობა მხატვართა ნამუშევრების, ახალი წიგნებისა და საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი გამოფენები, ტარდებოდა კონცერტები და სპექტაკლები.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 67 სოფელს ემსახურება 5 ბიბლიოთეკა: ცენტრალური, სოფ. ვარდისუბნის, სოფ. კართუბნის, სოფ. გიორგეთისა და სოფ. ლელიანის ბიბლიოთეკები.

2019 წლის მონაცემებით, ბიბლიოთეკები მოემსახურა 565 მკითხელს და მათზე, საშუალოდ, 3900 წიგნი და ჟურნალ-გაზეთი გაიცა. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის ბაზაზე, 2020 წელს შეიქმნა „ახალგაზრდა მკითხველთა კლუბი“.

ცენტრი წლის განმავლობაში 100-მდე კულტურულ ღონისძიებას ახორციელებს, მათგან აღსანიშნავია ფესტივალები, რომლებსაც საფუძველი 2019 წელს ჩაეყარა, კერძოდ: „ნაყინის ფესტივალი“, „პასკის ფესტივალი“, „წიგნის ფესტივალი“, „მეგობრობის ფესტივალი“, „მულტიეთნიკური ფესტივალი“, „ფერების ფესტივალი“ და „რეგიონული დამეგობრების ფესტივალი“, სადაც კახეთის 8 მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები მონაწილეობენ და მისი მიზანი კახეთის ყველა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების დამეგობრებაა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განახლებულ ისტორიულ მუზეუმში 5 საგამოფენო დარბაზია, ოთხი მუდმივი და ერთი პერიოდული საგამოფენო დარბაზით; მუზეუმში დაცულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული და კერძო შემომწირველების მიერ გადმოცემული 5830 ექსპონატი. 2019 წლის მონაცემებით, ისტორიულმა მუზეუმმა სულ 7 პროექტი განახორციელა.

სახალხო დრამატული, თოჯინებისა და საბავშვო თეატრი, წლის მანძილზე, 10-მდე სპექტაკლს დგამს და სპექტაკლებზე დასწრება სრულიად უფასოა. თოჯინების თეატრის დასი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 31 საბავშვო ბაღს, წლის მანძილზე, უფასოდ უტარებს სპექტაკლებს, ზაფხულის პერიოდში ყველა ადმინიტრაციულ ცენტრში მართავს გასვლით სპექტაკლებს.

2013-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: ლაგოდეხში, თავისუფლების ქუჩაზე კულტურისა და დასვენების ტყე-პარკის რეაბილიტაცია, სოფლებში არსებული კულტურის სახლების რეაბილიტაცია, ლაგოდეხში მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია, ლაგოდეხის კულტურის სახლის მდგრადობის ექსპერტიზა, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების შენობის რეაბილიტაცია, რაზეც სულ 251,5 ათასი ლარი დაიხარჯა.

2013 წელს, განხორციელდა სოფლის კლუბების რემონტი სოფელ ჭიაურსა (28,4 ათასი ლარი) და პატარაგორში (15 ათასი ლარი). **2017 წელს:** კულტურის სახლების რეაბილიტაციაზე სოფელ ლელიანში 87 ათასი, სოფელ გიორგეთში კი 55 ათასი ლარი დაიხარჯა; ლაგოდეხის ისტორიული მუზეუმისთვის შეიძინეს საგამოფენო დარბაზის ინვენტარი, გარემონტდა ორი საგამოფენო დარბაზი (13 ათასი ლარი), ასევე, შეკეთდა მუზეუმის სახურავი; ქ. ლაგოდეხის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ნაწილობრივ რეაბილიტაციაზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 28,3 ათასი ლარი დაიხარჯა; შეიცვალა კინოთეატრი „სინემას“ დარბაზის განათების სისტემა (1,2 ათასი ლარი); **2017-2018 წლებში,** წმ. გიორგის სახელობის კომპლექსში (სოფელი ზემო მსხალგორი) განხორციელებულ არქეოლოგიურ სამუშაოებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 24, 5 ათასი ლარი გამოიყო – გათხრები 2022 წლამდე გაგრძელდება; ქ. ლაგოდეხში, ლაკუასტის ციხის გალავნის ნანგრევების ნაწილობრივ რეაბილიტაცია 10 ათასი ლარით დაფინანსდა.

მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შემდეგი პროექტები განახორციელა: „კახეთის მხარის მოსწავლეები – კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“ (2,5 ათასი ლარი); სოფელ ზემო მსხალგორის წმინდა გიორგის კომპლექსის არქეოლოგიური სამუშაოები (10 ათასი ლარი); მაჭის ციხის დარბაზული ეკლესიის სრული რესტავრაცია (42,5 ათასი ლარი); ზემო მსხალგორის წმინდა გიორგის სახელობის კომპლექსისა და მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სავარუდო ნამოსახლარის არქეოლოგიური სამუშაოები (15 ათასი ლარი).

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2013-2018 წლებში, განხორციელდა მაჭის ციხის ეკლესიის რეაბილიტაცია, სოფ. ლელიანის წმ. თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესიის მცირე რეაბილიტაცია, ხოშატიანის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფელ ზემო მსხალგორში წმ. გიორგის კომპლექსის არქეოლოგია, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის რეაბილიტაცია სოფელ კაბალაში.

მუნიციპალიტეტზე გადის სამინისტროს მიერ სერტიფიცირებული მარშრუტი – „ალ. დიუმას კვალდაკვალ“, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული ტურიზმის განვითარებას.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა სპორტის დაფინასება.** 2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 339,1 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 132,5 ათასი ლარი იყო.

ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს სპორტის ცხრა სახეობა, რასაც 22 მწვრთნელი ემსახურება: ფეხბურთის (გოგონები-ბიჭები) – 10 მწვრთნელი; ფრენბურთი (გოგონები-ბიჭები) – 2 მწვრთნელი; კალათბურთი (გოგონები-ბიჭები) – 3 მწვრთნელი; ხელბურთი – 1 მწვრთნელი; კრივი – 1 მწვრთნელი; ჭადრაკი – 1 მწვრთნელი; ჭიდაობა/ქართული ძიუდო – 4 მწვრთნელი. 2019 წლის მონაცემებით, აღნიშნულ ჯგუფებში 580-მდე ახალგაზრდა იყო გაერთიანებული. ასევე, სამოყვარულო დონეზე ფუნქციონირებს ფიტნესკლუბი და კლუბი „ჰერეთი“, რომელსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აფინანსებს.

2013-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის:

2013 წელს – ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სპორტული ინფრასტრუქტურის **მშენებლობა**-რეაბილიტაციის 2 პროექტი განხორციელდა, რაზეც, საერთო ჯამში, 16,5 ათასი ლარი დაიხარჯა – სტადიონები მოეწყო სოფელ ქვ. გურგენიანსა და განთიადში. **2014 წელს –** სპორტული მოედნები მოეწყო სოფელ წითელგორსა (6,3 ათასი ლარი) და თამარიანში (18,9 ათასი ლარი). **2015 წელს –** სტადიონების მოწყობა-რეაბილიტაციის 9 პროექტი განხორციელდა (ჯამში, 133,7 ათასი ლარი). სტადიონები მოეწყო სოფლებში: ქალქვა (11,2 ათასი ლარი), აბაშისწილი, სვიდება (8,1 ათასი ლარი), ვარდისუბანი (29,9 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა: კავშირის (14,3 ათასი ლარი), ხიზას (5.3 ათასი ლარი), წითელგორის (6,3 ათასი ლარი), გიორგეთის (17,3 ათასი ლარი) სპორტულ მოედნებს. **2016 წელს –** განხორციელდა: ბებურიანის სტადიონზე განათების მოწყობა (1,9 ათასი ლარი); „აბაშისწილში“ სტადიონის მოწყობა (15,3 ათასი ლარი); სვიდებაში სპორტული ინვენტარის შეძენა (7,5 ათასი ლარი); ონანაურში სპორტული მოედნის მოწყობა (12,6 ათასი ლარი); სოფ. სვიდებას სტადიონის ტერიტორიაზე მოეწყო ფარდული (7,6 ათასი ლარი); კართუბანში მინისტადიონის მოწყობა (52,8 ათასი ლარი); დონაში ფეხბურთის სტადიონის მოწყობა (5,4 ათასი ლარი); ლაგოდეხში, კუდიგორის ქუჩაზე სათამაშო მოედნის რეაბილიტაცია (22,5 ათასი ლარი).

2017 წელს – ქ.ლაგოდეხში (რანის სტადიონის მიმდებარე სკვერთან) მოეწყო ტრენაჟორები (7,1 ათასი ლარი), რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. ჭაბუკიანის სტადიონს (30,9 ათასი ლარი).

2019 წელს – ქ. ლაგოდეხსა და მუნიციპალიტეტის სოფლების სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის 9 პროექტი განხორციელდა, რაზეც, საერთო ჯამში, 525,4 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის: ქ. ლაგოდეხში, ჭავჭავაძის ქ. კორპუსებთან არსებული მინისტადიონის რეაბილიტაცია (84,9 ათასი ლარი); ქ. ლაგოდეხში, კუდიგორის ქუჩაზე მდებარე მინისტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები (75,6 ათასი ლარი); სოფ. ჭაბუკიანში ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონისა და ფიტნესმოედნის მოწყობა (143, 3 ათასი ლარი); მინისტადიონის მოწყობა სოფ. ხიზაბავრაში (12,9 ათასი ლარი); ქვემო გურგენიანში, ბარბაქაძეების უბანში, მინისტადიონის მოწყობა (12 ათასი ლარი); არსებული მინისტადიონის რეაბილიტაცია სოფელ განათლებაში

(16,6 ათასი ლარი); არსებული სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია სოფელ თელაში (32 ათასი ლარი); სკვერისა და მინისტადიონის მოწყობა სოფელ ქვემო მსხალგორში (31,9 ათასი ლარი); ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონის მოწყობა სოფელ ლელიანში (116,1 ათასი ლარი); ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონის მოწყობა სოფ. აფენში, №2 საჯარო სკოლის მიმდებერედ (რეგიონული განვითარების ფონდიდან 132 ათასი ლარი, სტადიონი 1500 ნებეფიციარზეა გათვლილი). ფიტნესმოედნის მოწყობაზე სოფელ ჭაბუკიანში ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონული განვითარების ფონდიდან 31, 2 ათასი ლარი დაიხარჯა – გარესავარჯიშო მოწყობილობები 500 ბენეფიციარზეა გათვლილი.

2020 წელს – დასრულდა მინისტადიონების მოწყობა-რეაბილიტაციის 12 პროექტი, რაზეც, ჯამში, 608,2 ათასი ლარი დაიხარჯა. მინისტადიონები მოეწყო და შეკეთდა სოფლებში: ზემო ნაშოვარი, ხოშატიანი, ქვემო ფონა, განჯალა, ბაისუბანი, ნაინდროვალი, ჭიაური, სვიდება, ვარდისუბანი, თელა, ხიზაბავრა, კავშირი.

ამჟამად **მიმდინარეობს** ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონისა და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა სოფ. ცოდნისკარში (170 ათასი ლარი).

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, **სპორტულმა ფედერაციებმა ლაგოდეხის** მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდაჩემპიონატები ჩაატარეს, სამინისტრომ ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების მშენებლობა და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენაც დააფინანსა, ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: 2013-2016 წლებში, მუნიციპალიტეტში ჩატარდა 9 შიდაჩემპიონატი (24,6 ათასი ლარი), 1 საერთაშორისო ტურნირი (362,0 ათასი ლარი) და 1 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება (6,7 ათასი ლარი). სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობაც დააფინანსა (14,8 ათასი ლარი). 2018-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული, აღინიშნა საერთაშორისო დღე – „სპორტი მშვიდობისა და განვითარებისთვის“. 2017 წელს ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობა (ტურნიკი) დაიდგა ქ. ლაგოდეხში, რაზეც 14, 3 ათასი ლარი დაიხარჯა; გარეფიტნეს სავარჯიშო კომპლექსი მოეწყო რანის სტადიონზე, წმ. ნინოს ქუჩაზე (25 ათასი ლარი). 2018 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს 2125 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი გადაეცა.

ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდული მიმართულებებით, სპორტისა და ახლგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტები განახორციელა: „მულტიეთნიკური ფესტივალი კახეთი“ (300 მონაწილე); ,,საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობა მიიღეს 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და სხვ.

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“ მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ „ა(ა)იპ „ლაგოდეხის ახალგაზრდულმა ინიციატივა“ განახორციელა პროექტი „ლაგოდეხის ახალგაზრდა მოაზროვნეები“ (4,5 ათასი ლარი), რომლის მიზანი იყო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ინტელექტუალური თამაშების პოპულარიზაცია, საუკეთესო მოაზროვნე ახალგაზრდობის გამოვლენა და მათი ჩართვა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

2017 წელს განხორციელდა პროექტი „ახალგაზრდული ეკოსოფელი“ (24,2 ლარი), რომლის მიზანიც ლაგოდეხში, საბანაკე ტერიტორიის განვითარება იყო – ბანაკის ტერიტორიაზე 14-16 კვ.მ ფართობის, ხის 5 კოტეჯი აშენდა.

მუნიციპალიტეტში მოქმედი ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრის ახალგაზრდობა/მოსწავლე-ახალგაზრდობის მიმართულება, 2018 წლიდან ახორციელებს შემეცნებით, ინტელექტუალურ თუ ფორმალური განათლების სხვადასხვა ღონისძიებებს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის მიმართულებით, ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრში ხორციელდება პროექტები, რომლებშიც მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაა ჩართული: ინტელექტუალური თამაშები „რა? სად? როდის?“, „გოგონები თუ ბიჭები“, „ერუდიტი“, „ჩემი სკოლა“, „მარტივი ლოგიკა“, „სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია“, კონკურსი – „ნორჩი პოეტები და პროზაიკოსები“, „ესეების კონკურსი“, ოლიმპიადები: „სახალისო მათემატიკა“ მე-4 კლასელთათვის, „ჩემი საქართველო“ – მე-6 კლასელებისათვის, „მხიარული სტარტები“ – მე-8-9 კლასელებისთვის, „ასფალტზე ხატვა“ – სკოლამდელი და დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის, „საზაფხულო სკოლა“ – 8-12 წლის ბავშვებისა და „საზაფხულო ბანაკი“ 7-9 წლის ბავშვებისთვის.

2019 წლიდან ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს მოხალისეთა კლუბი „ლაგოდეხის მოხალისე“, რომელშიც 150-მდე ახალგაზრდაა გაწევრიანებული. წლის განმავლობაში განსახორციელებელი სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები მათი უშუალო ჩართულობით იგეგმება.

2020 წლის ზაფხულში, ახალგაზრდებისთვის მოეწყო „მწვანე ბანაკი“. პროექტში 117 ახალგაზრდა მონაწილეობდა, რომლებიც, მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით, გაემგზავრნენ ექსკურსიაზე შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკში. მიიმდინარეობს პროექტი „შენი იდეა მუნიციპალიტეტის მერს“, გაიმართა სწავლება-ტრენინგები პროექტის წერაში – ახალგაზრდებმა შეადგინეს პროექტი მათ თემში არსებული საჭიროებების მიხედვით, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერს უახლოეს პერიოდში წარუდგენენ.

სპოტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ჩართულობით, მუნიციპალიტეტში, 2020 წლის საგრანტო პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 1 ახალგაზრდული ორგანიზაცია (20 ათასი ლარი); დასაქმდა მინიმუმ 3 ახალგაზრდა (საგრანტო პროგრამაში 200 ახალგაზრდა მონაწილეობდა). 2020 წლის ორგანიზაციების განვითარების მიმართულებით 1 ორგანიზაციის 3 თანამშრომელი გადამზადდა სხვადასხვა მიმართულებით. აქედან 1 მათგანის გადამზადება დაიწყო ახალგაზრდული მუშაკის სასერტიფიკატო პროგრამით.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;

- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- **გაგრძელდება კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, განხორციელდება** ლაგოდეხის კულტურის სახლის რეაბილიტაცია (4 მლნ 500 ათასი ლარი), სოფლებში არსებული კულტურის სახლების რეაბილიტაცია (145 ათასი ლარი), მუზეუმის შეკეთება (80 ათასი ლარი), ბიბლიოთეკის შეკეთება (40 ათასი ლარი); სახალხო თეატრის რეაბილიტაცია (30 ათასი ლარი, 2018-2022); ლაგოდეხის ისტორიული მუზეუმის სახურავის შეცვლა, ფასადის შეკეთება, მუზეუმის ღობის განახლება, მუზეუმის მეორე სართულზე საკონფერენციო დარბაზის მოწყობა და საგამოფენო დარბაზების კოსმეტიკური რემონტი (150, 2 ათასი ლარი, 2018-2022 წ.წ.);
- 2022-2025 წლებში, დაგეგმილია ლაგოდეხის ქოჩალოს ეკლესიის რეაბილიტაცია (180 ათასი ლარი);
- დაგეგმილია ვარდისუბნისა და კართუბნის სასოფლო ბიბლიოთეკებისთვის კომპიუტერული სისტემებისა და წიგნადი ფონდის განახლება;
- განახლდება თოჯინების თეატრის რეკვიზიტი;
- დაგეგმილია ქოჩალოს ორნავიანი ბაზილიკის რეაბილიტაცია ლაგოდეხის ნაკრძლის ტერიტორიაზე, რისთვისაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 2022 წლამდე, 150 ათასი ლარი დაიხარჯება;
- დაგეგმილია კაბალის ქარვასლის რეაბილიტაცია სოფელ კაბალაში, რისთვისაც, 2022 წლამდე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 200 ათასი ლარი დაიხარჯება;
- დაგეგმილია ულიანოვკის ქვის ხანის ნამოსახლარების რეაბილიტაცია, რისთვისაც 2022 წლამდე 180 ათასი ლარი დაიხარჯება. პროექტის განხორციელებაში ვენეციის (იტალია) კაფოსტას უნივერსიტეტი მიიღებს მონაწილეობას;
- დაგეგმილია ანანაურის ყორღანის რეაბილიტაცია სოფელ აფენში, რისთვისაც, 2022 წლამდე 250 ათასი ლარი დაიხარჯება. პროექტის განხორციელებაში ვენეციის (იტალია) კა'ფოსკარის უნივერსიტეტი მიიღებს მონაწილეობას;
- დაგეგმილია ლაგოდეხის კულტურის სპორტისა და ახლგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი საბიბლიოთეკო განყოფილების ფართობის მოწესრიგება და საბიბლიოთეკო ფონდის განახლება;
- საქართველოს კულტურის სამინისტრო გააგრძელებს მსხალგორის არქეოლოგიურ სამუშაოებს (60 ათასი ლარი, 2018-2021).
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- შეიქმნება კვლევაზე დაფუძნებული ადგილობრივი ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინატორებად გადამზადდება ლაგოდეხის მერიის ახალგაზრდული სამსახურის 2 თანამშრომელი; 2022 წლის სექტემბრიდან შიქმნება ახალგაზრდული სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტი.
- **გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია:** განხორციელდება ღია ფიტნეს-მოედნების მშენებლობა (60 ათასი ლარი), სტადიონების რეაბილიტაცია (1 მლნ ლარი), დახურული სპორტული დარბაზების რეაბილიტაცია (100 ათასი ლარი);
- დაგეგმილია სპორტკომპლექსის მოწყობა სოფელ ჭაბუკიანში არსებული სტადიონის ტერიტორიაზე, რაზეც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2 მლნ ლარი დაიხარჯება;
- სარემონტო სამუშაოები ჩატარდება სოფელ ცოდნისკარის სპორტულ კომპლექსში (15 ათასი ლარი);
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, მშობლიურ მხარეში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად მეორედ ვიყო წარდგენილი!

ყველაზე სასიამოვნო და მნიშვნელოვანი, განვლილი ოთხი წლის განმავლობაში, თქვენთან უშუალო და მჭიდრო კომუნიკაცია იყო. ერთად, მრავალი კარგი და საჭირო პროექტი განვახორციელეთ.

არ მაქვს ილუზია, რომ ყველა იმ მწვავე საკითხის გადაწყვეტა შევძელით, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტისა და თითოეული თქვენგანის წინაშე დგას. სწორედ მე და ჩემი ძლიერი გუნდი ვართ ის ადამიანები, ვინც ზუსტად ვიცით, რა სჭირდება ჩვენს კუთხეს და რა გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი მოსახლეობა.

ჩვენი მიზანია, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, უფრო სწრაფი ტემპით განვახორციელოთ ინფრასტრუქტურული პროექტები, განვაგრძოთ საბავშვო ბაღების, საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია; ახალგაზრდებისთვის შევქმნათ სხვადასხვა პლატფორმა არაფორმალური განათლებისთვის; აქტიურად განვაგრძოთ რეკრეაციული სივრცეებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; ვიზრუნოთ სუფთა და ჯანსაღი გარემოს შექმნაზე; მაქსიმალურად ავითვისოთ ლაგოდეხის უნიკალური ტურისტული პოტენციალი; ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, ხელი შევუწყოთ გლეხებისა და ფერმერების გაძლიერებას, ასევე მიზნობრივი პროგრამების განხორციელებით, გავაუმჯობესოთ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

მადლობას გიხდით ნდობისთვის. 2 ოქტომბერს თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს. მჯერა, კიდევ ერთხელ მომცემთ შესაძლებლობას, ვიზრუნო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წინსვლასა და განვითარებაზე!

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.